კანონზომიერი შედეგი

კუიბიშევი; "დინამოს" სტადიონი. 10 აგვისტო. მზიანი ამინდი. 22 გრადუსი. 22 000 მაყურებელი.

"კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) - "დინამო" (თბილისი) 0:1 (0:0).

გოლი გაიტანა – მეტრეველმა (84)

კუიბიშევი: აგურეევი, მაიოროვი, სახაროვი, კაპსინი, სარიჩევი, ფეოდოროვი, საველიევი, კოხი, ასიანინი (კიკინი - 68), ჟუკოვი, გეცკო.

თბილისი: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი მ. პინსკი; გვერდითი მსაჯები მ. სოლოვიოვი და ვ. მარჩენკო (ყველა ხარკოვი).

დუბლიორები – 1:1. გოლები გაიტანეს – პეტროვმა (კუიბიშევი) და კოტრიკაძე (თბილისი)

გუშინდელი მატჩის დამთავრებისთანავე რედაქცია დაუკავშირდა კუიბიშეველ კორესპონდენტს **ნ. როხლინს** და მას რამდენიმე შეკითხვით მიმართა:

როგორი შთაბეჭდილება დასტოვა თქვენზე თბილისელთა თამაშმა?

"დინამომ" ორი ქულა დამსახურებულად მოიპოვა. იგი იბრძოდა აზრიანად, შეთანხმებულად და რაც მთავარია მაქსიმალური მონდომებით. თბილისელთა თავგანწირვამ კანონიერი ნაყოფი გამოიღო. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ვიმედოვნებ, რომ კუიბიშევში აღებული ორი ქულა მეორე წრის სიხარულის დასაწყისი იქნება.

რას იტყვით "კრილია სოვეტოვის" შესახებ?

ჩემის აზრით კუიბიშეველები თავიდანვე განწირულნი იყვნენ, რადგან ამ დღეს მოედანზე ვერ გამოვიდა მათი დავდასხმის ლიდერი კაზაკოვი. ამის მიუხედავად, მონდომება არც მასპინძლებს აკლდათ, მაგრამ ერთია შიშველი მონდომება, სულ სხვაა, როცა ამ მონდომებას ზურგს მაღალი ტექნიკური ოსტატობა უმაგრებს. "კრილია სოვეტოვს" ამ თამაშში სწორედ ეს უკანასკნელი აკლდა.

რა აზრისა ხართ შეხვედრის პირველი ნახევრის შესახებ?

მატჩის დასაწყისი "დინამოს" უპირატესობით აღინიშნა. თავი რომ დავანებოთ კუთხურების შეფარდებას (მე მას რატომღაც უპირატესობის გამომხატველად არ ვთვლი), რომელიც აშკარად თბილისელთა სასარგებლოდ იყო (პირველ 10 წუთში 4:1-ზე), სტუმრები უფრო თავისუფლად, მარტივად და გეგმიანად უტევდნენ მეტოქეს. კუიბიშეველთა თამაში კი ჰგავდა მხოლოდ ერთგვარ ფუსფუსს. შემდგომში თამაში გათანაბრდა, მაგრამ "დინამოს" ბრძოლის სადავე ტაიმის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვია.

ჰქონდათ თუ არა გუნდებს გოლის გატანის შესაძლებლობა?

"დინამოს" მეტი, "კრილია სოვეტოვს" - ნაკლები. მე-18 წუთზე მასპინძლების კარი სასწაულით გადარჩა. მეტრეველის ძლიერი დარტყმა ძელს მოხვდა. უკუგდებული ბურთი მიიღო დათუნაშვილმა, რომელმაც იგი შეუჩერებლივ

კარისკენ გაგზავნა - კვლავ ძელი! ეს იყო ფატალური უიღბლობა. მეორე ნახევარში ‘‘დინამოს’’ კარი ურუშაძის მაღალმა ოსტატობამ იხსნა. საერთოდ თბილისელთა მეკარემ ეს შეხვედრა ჩინებულად ჩაატარა.

როგორ იქნა გატანილი ერთადერთი ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი?

კომბინაცია წამოიწყო ილიადიმ (84-ე წუთზე) და ‘‘დიდოსტატური’’ დარტყმით იგი თბილისელთა კაპიტანმა მეტრეველმა დააგვირგვინა.

ვისი გამოყოფა შეიძლება გუშინდელი მატჩიდან?

ძნელია რომელიმე ფეხბურთელისთვის უპირატესობის მინიჭება. ‘‘დინამოს’’ ყველა რგოლი თამაშობდა თავგანწირულად და გამარჯვებაში ყველამ ერთნაირი წვლილი შეიტანა.

კიდევ რა შეგიძლიათ გადასცეთ ჩვენს მკითხველებს?

კეთილი სურვილები და რწმენა იმისა, რომ სსრ კავშირის ჩემპიონი ჯერ კიდევ იტყვის თავის სიტყვას, თქვენ, ჩემთან ერთად რომ ყოფილიყავით კუიბიშევში, ამას თვალნათლივ ნახავდით.

***

ს. კოტრიკაძე თავდასხმაში

კუიბიშევის ‘‘კრილია სოვეტოვისა’’ და თბილისის ‘‘დინამოს’’ ფეხბურთელთა გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი დამთავრდა ფრედ - 1:1. აღსანიშნავია, რომ ერთადერთი ბურთი კუიბიშეველთა კარში გაიტანა ს. კოტრიკაძემ, რომელიც ამ შეხვედრაში თავდამსხმელის ფუნქციას ასრულებდა.

“ლელო”, 11 აგვისტო, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 11. 08. 65.